ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №0413/163

ქ. თელავი 24 აპრილი 2012 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, გამგებლის პეტრე კიკნაძის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „არგოსერვისი", მისი დირექტორის კახაბერ მესაბლიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ბალახის სათიბი (ძრავიანი, მხარზე გადასაკიდი) მიწოდება ხელშეკრილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა. კლასიფიკატორის (CPV)კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი: 16300000 – მოსავლის ასაღები მანქანები. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი. (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)

1. ხელშეკრულების ობიექტი

1 ცალი ბალახის სათიბი მანქანა.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების ვადაა 2012 წლის 24 აპრილიდან 2012 წლის 24 მაისამდე.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილი: სოფ. ქვემო ხოდაშენი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. "შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

4.2. შესყიდვის ობიექტის (ეტაპების) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით „შემსყიდველსა" და „მიმწოდებლს" ან უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის.

4.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა. გადაუხადოს „მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;

ბ. მიიღოს საფასურის შესაბამისი ქონება.

5.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

ა. უკან დაუბრუნოს „მიმწოდებელს" მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს და ხარისხს.

5.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა. გადასცეს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;

ბ. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

ა. მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 200 (ორასი)ლარს.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების გადახდა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების სრული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8 .ფორს-მაჟორი

8.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 24 მაისამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.4. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თელავის მუნიციპალიტეტი	შპს „არგოსერვისი"
ს.კ. 231280093	სს ლიბერთი ბანკი
ქ. თელავი, ერეკლე II №16	ს/კ 431167328
	ბანკის კოდი: LBRTGE22
	ანგ.№ GE06LB0113157441337000
	ტელ: 593 33 42 43
	დირექტორი
	კახაბერ მესაბლიშვილი
გამგებელი	
პეტრე კიკნაძე	
„შემსყიდველი" ----------	„მიმწოდებელი" ----------